საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1606

08/12/2021

ქ. თბილისი

„შპს „სანიტარის" სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს გაფართოება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 მაისის 2-351 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „სანიტარის" მიერ წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალ სამგორში სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების (საწარმოს გაფართოება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 მაისის №2-351 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი(№28; 20.04.2018) რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „სანიტარის" სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს გაფართოება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 მაისის №2-351 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „სანიტარის" სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს გაფართოება);"

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სანიტარს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სანიტარის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი